საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამიერკავკასიური მცურავი

ამიერკავკასიური
მცურავი

ამიერკავკასიური მცურავი (Elaphe hohenackeri), უშხამო გველი ანკარასებრთა ოჯახისა.

გავრცელებულია ამიერკავკ. რესპუბლიკებში. საქართველოში მისი არეალი მოიცავს თრიალეთის ქედს, კავკასიონის მთისწინეთს და, როგორც ჩანს, თვით კავკასიონსაც. ბინადრობს ქვიან, ქსეროფიტულ ფერდობებზე, მდ-ების ნაპირებზე, მეჩხერ ტყეებში. ძირითადად მეხეური ცხოველია. იკვებება მღრღნელებითა და ხვლიკებით. ივლ. დასაწყისში დებს 7-მდე კვერცხს.

იშვიათი სახეობაა. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში“.

თ. მუსხელიშვილი